

*ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტი მცირე და
საშუალო საწარმოებისათვის*

შპს ალტურას

2020 წ 31 დეკემბერი

ს ა რ ჩ ე ვ ი

1. ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება 3 გვ.
2. სრული შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება 4 გვ
3. ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 5-9 გვ.

შპს ალტურას

ფინანსური მდგომარეობის ანგარიშგება

2020 წლის 31 დეკემბრისთვის

აქტივები	შენიშ- ვნები	31/12/2018 ლარში	31/12/2019 ლარში	31/12/2020 ლარში
ფულადი სახსრები	3	877	3 218 307	443 871
სავაჭრო მოთხოვნები	4	479 718	1 222 449	1 062 059
გადახდილი ავანსები	5	298 530	330 700	377 841
სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები (მარაგები)	6	150 220	333 409	98 502
სხვა მიმდინარე აქტივები	7	<u>20 587</u>	<u>25 846</u>	<u>14 202</u>
სულ მიმდინარე აქტივები:		949 932	5 130 711	1 996 475
გრძელვადიანი აქტივები ძირითადი საშუალებები	8	63 327	52 974	52 868
		<u>63 327</u>	<u>52 974</u>	<u>52 868</u>
სულ აქტივები		<u>1 013 259</u>	<u>5 183 685</u>	<u>2 049 343</u>
ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი				
სავაჭრო ვალდებულებები	9	37 131	4 189 495	1 003 450
სულ ვალდებულებები		<u>37 131</u>	4 189 495	1 003 450
საკუთარი კაპიტალი				
საწესდებო კაპიტალი შპს-ში	10	1 100	1 100	1 100
გაუნაწილებელი მოგება	11	<u>975 028</u>	<u>993 090</u>	<u>1 044 793</u>
		<u>976 128</u>	<u>994 190</u>	<u>1045 893</u>
სულ ვალდებულებები და საკუთარი კაპიტალი		<u>1 013 259</u>	<u>5 183 685</u>	<u>2 049 343</u>

შპს "ალტურას"-ის დირექტორი:

კახაბერ ივანიძე



შპს ალტურას

2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლის სრული
შემოსავლისა და კაპიტალში ცვლილების ანგარიშგება

	შენიშვნები	2020 ლარში	2019 ლარში
ამონაგები	12	41 482 198	32 165 426
რეალიზებული პროდუქციის თვითღირებულება		(39 797 590)	(28 390 474)
საერთო მოგება		1 684 608	3 774 952
დასაქმებულთა ანაზღაურება	13	(115 650)	(93 240)
ცვეთა და ამორტიზაცია		(11 106)	(10 760)
იჯარის ხარჯი			(6 700)
ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი	14	(1308 590)	(3 676 222)
საოპერაციო მოგება		249 262	(11 970)
წმინდა შემოსულობა / (დანაკარგი) სავალუტო ოპერაციებიდან		(197 559)	30 032
მიმდინარე წლის მოგება		51 703	18 062
საკუთარი კაპიტალი წლის დასაწყისში		994 190	976 128
სხვა ცვლილებები გაუნაწილებელ მოგებაში (წლის მოგება)		51 703	18 062
საკუთარი კაპიტალი წლის ბოლოს		1 045 893	994 190

შპს “ალტურას”-ის დირექტორი:

კახაბერ ივანიძე



შპს ალტურას

სააღრიცხვო პოლიტიკა და ფინანსური ანგარიშგების განმარტებითი შენიშვნები 2020 წ. 31 დეკემბერს დასრულებული წლისთვის

1. ზოგადი ინფორმაცია

“ალტურას” შეზღუდული პასუხისმგებლობის საზოგადოებაა, რომელიც რეგისტრირებულია საქართველოში, ქ. თბილისში.

კომპანიის იურიდიული მისამართი: ქ. თბილისი, ცოტნე დადიანის ქ. №141, ბ. №47.

საიდენტიფიკაციო ნომერი: 400144982.

რეგისტრაციის თარიღი: 18/05/2015

ძირითადი საქმიანობა: მსხვილფეხა და წვრილფეხა რქოსანი პირუტყვის ექსპორტ-იმპორტი.

2. ფინანსური ანგარიშგების მომზადების საფუძველი და სააღრიცხვო პოლიტიკა

წინამდებარე ფინანსური ანგარიშგება მომზადებულია ბუღალტრული აღრიცხვის საერთაშორისო სტანდარტების საბჭოს მიერ გამოცემული *მცირე და საშუალო საწარმოთა ფინანსური ანგარიშგების საერთაშორისო სტანდარტის* შესაბამისად. იგი წარმოდგენილია საქართველოს ფულად ერთეულში (ქართულ ლარში).

ამონაგების აღიარება

ამონაგები საქონლის რეალიზაციიდან მაშინ აღიარდება, როდესაც მყიდველს საქონელი მიეწოდება და საკუთრების უფლება გადაეცემა.

ამონაგების შეფასება ხდება მიღებული ან მისაღები ანაზღაურების რეალური ღირებულებით.

მოგების გადასახადი

მოგების გადასახადში შესული ცვლილებები, რომლებიც ეფექტურია 2017 წლის 01 იანვრიდან

2017 წლის 1 იანვრიდან საქართველოს საგადასახადო კოდექსში შევიდა მნიშვნელოვანი ცვლილებები. ეს ცვლილება შეეხო მოგების გადასახადის წარდგენას.

2017 წლის ახალი მოდელის მიხედვით მოგების გადასახადის განაკვეთი განისაზღვრა ნულოვანი განაკვეთით, იმ შემთხვევაში თუ არ მოხდება მოგების განაწილება და დარჩება კომპანიაში გაუნაწილებელი მოგების სახით, ხოლო 15%-ით დაიბეგრება დივიდენდად განაწილებული მოგება, მაშინ როცა ძველი მოდელის მიხედვით კომპანიების მოგება იბეგრებოდა 15%-ით, მიუხედავად იმისა, ეს მოგება გაიცემოდა დივიდენდად, თუ კომპანიაში რჩებოდა გაუნაწილებელი მოგების სახით. 2017 წლის 1 იანვრიდან კომპანიები იბეგრებიან მოგების გადასახდით, თუ მოხდება მოგების განაწილება (დივიდენდის გაცემა) აღნიშნული ცვლილების გამო, არ წარმოიქმნება დროებითი სხვაობები კომპანიის აქტივებსა და ვალდებულებებში, ანგარიშგებაში, ფინანსური და საგადასახადო ბაზის საფუძველზე. შესაბამისად გადავადებული საგადასახო აქტივი და ვალდებულება არ წარმოიქმნება 2017 წლის 01 იანვრიდან.

ძირითადი საშუალებები

ძირითადი საშუალების შეფასება ხდება დაგროვილი ცვეთისა და დაგროვილი გაუფასურების ზარალით შემცირებული თვითღირებულების თანხით.

ცვეთის დარიცხვა ხდება ნარჩენი ღირებულებით შემცირებული აქტივების თვითღირებულების

განაწილების მიზნით მათი სავარაუდო სასარგებლო მომსახურების ვადაზე, კლებადი ნაშთის მეთოდის გამოყენებით. ძირითად საშუალებებზე ცვეთის დასარიცხად გამოიყენება შემდეგი წლიური განაკვეთები:

მანქანა-დანადგარები და მოწყობილობა	20 %
იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყობა	15 %

თუ არსებობს რაიმე ნიშანი იმისა, რომ ცვეთის ნორმა, აქტივის სასარგებლო მომსახურების ვადა, ან ნარჩენი ღირებულება მნიშვნელოვნად შეიცვალა, ახალი მოლოდინის ასახვის მიზნით, მოცემული აქტივის ცვეთა შესწორდება პერსპექტიულად.

აქტივების გაუფასურება

ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის ტარდება ძირითადი საშუალებების განხილვა, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა რაიმე ნიშანი იმისა, რომ აღნიშნული აქტივები გაუფასურებულია. იმ შემთხვევაში, თუ არსებობს შესაძლო გაუფასურების ნიშანი, შეფასდება ნებისმიერი აქტივის (ან დაკავშირებულ აქტივთა ჯგუფის) ანაზღაურებადი ღირებულება და შეუდარდება მის საბალანსო ღირებულებას. თუ შეფასებული ანაზღაურებადი ღირებულება ნაკლებია, საბალანსო ღირებულება შემცირდება მის ანაზღაურებად ღირებულებამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

ანალოგიურად, ყოველი საანგარიშგეო თარიღისათვის შეფასდება სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების გაუფასურება, რისთვისაც სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის თითოეული ერთეულის (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება შეუდარდება მისი დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს. თუ სასაქონლო-მატერიალური ფასეულობის ერთეული (ან ანალოგიური ერთეულების ჯგუფი) გაუფასურებულია, მისი საბალანსო ღირებულების შემცირება ხდება პროდუქციის დასრულებისა და რეალიზაციისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასამდე, ხოლო გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იმ შემთხვევაში, თუ შემდგომში მოხდება გაუფასურების ზარალის აღდგენა/კომპენსირება, აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) საბალანსო ღირებულება გაიზრდება აქტივის ანაზღაურებადი ღირებულების (სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების შემთხვევაში – პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებული სარეალიზაციო ფასის) შესწორებულ შეფასებულ სიდიდემდე, მაგრამ არ გაიზრდება იმ თანხაზე მეტად, რომელიც განისაზღვრობდა იმ შემთხვევაში, თუ წინა წლებში არ მოხდებოდა აქტივის (ან მსგავსი აქტივების ჯგუფის) გაუფასურების ზარალის აღიარება. გაუფასურების ზარალის აღდგენის (კომპენსირების) თანხა დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

იჯარა

ჩვეულებრივი (საოპერაციო) იჯარის ფარგლებში გადასახდელი საიჯარო გადასახდელები აისახება ზარალში, როგორც იჯარის ხარჯი, შესაბამისი იჯარის ვადის განმავლობაში.

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

სასაქონლო-მატერიალური ფასეულობების აღიარება ხდება თვითღირებულებასა და პროდუქციის დასრულებისა და გაყიდვისთვის საჭირო დანახარჯებით შემცირებულ სარეალიზაციო ფასს შორის უმცირესი თანხით. თვითღირებულება გაიანგარიშება ინდივიდუალური თვითღირებულების მეთოდით.

სავაჭრო და სხვა მოთხოვნები

რეალიზაცია (ექსპორტი) ხორციელდება როგორც ჩვეულებრივი საკრედიტო, ასევე წინასწარი გადახდის (საავანსო) პირობებით. დებიტორულ დავალიანებას პროცენტი არ ერიცხება. იმ შემთხვევაში, როდესაც საკრედიტო ვადები აღემატება ჩვეულებრივ საკრედიტო ვადებს, მოთხოვნების შეფასება ხდება ამორტიზებული ღირებულებით ეფექტური საპროცენტო განაკვეთის მეთოდით. ყოველი საანგარიშგეო პერიოდის ბოლოს გაანალიზდება სავაჭრო და სხვა მოთხოვნების საბალანსო

შპს ალტურას

ღირებულებები, რათა დადგინდეს, არსებობს თუ არა ობიექტური მტკიცებულება იმისა, რომ ეს თანხები არ არის ამოღებული. ამგვარი მტკიცებულების არსებობის შემთხვევაში, გაუფასურების ზარალი დაუყოვნებლივ აღიარდება მოგებაში ან ზარალში.

საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო მოთხოვნები გადაანგარიშდება ქართულ ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

სავაჭრო ვალდებულებები

სავაჭრო ვალდებულებები წარმოადგენს ჩვეულებრივი საკრედიტო პირობებით აღებულ ვალდებულებებს და პროცენტი არ ერიცხება. საანგარიშგებო პერიოდის ბოლოს უცხოურ ვალუტაში გამოსახული სავაჭრო ვალდებულებები გადაანგარიშდება ქართულ ლარში, საანგარიშგებო თარიღისათვის საქართველოს ეროვნული ბანკის მიერ დადგენილი გაცვლითი კურსის მიხედვით. საკურსო სხვაობით წარმოქმნილი შემოსულობა ან ზარალი აისახება სხვა შემოსავალში ან სხვა ხარჯებში.

3. ფულადი სახსრები

	31/12/2018	31/12/2019	31/12/2020
	ლარში	ლარში	ლარში
ფულადი სახსრები სალაროში	707	2 788 948	443 728
ფულადი სახსრები საბანკო ანგარიშებზე	170	429 359	143
	877	3 218 307	443 871

4. სავაჭრო მოთხოვნები

	31/12/2018	31/12/2019	31/12/2020
	ლარში	ლარში	ლარში
სავაჭრო დებიტორები	479 718	1 222 449	1 062 059
	479 718	1 222 449	1 062 059

5. გადახდილი აგანსები

	31/12/2018	31/12/2019	31/12/2020
	ლარში	ლარში	ლარში
წინასწარი გადახდები მომწოდებლებზე	298 530	330 700	377 841
	298 530	330 700	377 841

6. სასაქონლო-მატერიალური ფასეულობები

	31/12/2018	31/12/2019	31/12/2020
	ლარში	ლარში	ლარში
მზა პროდუქცია (ცოცხალი პირუტყვი)	150 220	333 409	98 502
	150 220	333 409	98 502

7. სხვა მიმდინარე აქტივები

	31/12/2018 ლარში	31/12/2019 ლარში	31/12/2020 ლარში
მოთხოვნები ანგარიშვალდებული პირების მიმართ	1 486	793	2 397
წინასწარ ანაზღაურებული მომსახურება	2 102	-	-
წინასწარ გადახდილი დღგ	16 999	25 053	11 805
	20 587	25 846	14 202

8. ძირითადი საშუალებები

	მანქანა- დანადგარები და მოწყობილობა ლარში	იჯარით აღებული ქონების კეთილმოწყ ობა ლარში	სულ ლარში
თვითღირებულება			
1 იანვარი, 2020წ.	23 995	39 739	63 734
შემოსვლა	11 000	()	11 000
გასვლა	()	()	()
31 დეკემბერი, 2020წ.	34 995	39 739	74 734

დაგროვილი ცვეთა

1 იანვარი, 2020წ.	26 744	36 465	63 209
წლიური ცვეთა	6 040	5 066	11 106
31 დეკემბერი, 2020წ.	32 784	41 531	74 315

საბალანსო ღირებულება

31 დეკემბერი, 2020 წ.	24 157	28 711	52 868
-----------------------	---------------	---------------	---------------

9. სავაჭრო ვალდებულებები

	31/12/2018 ლარში	31/12/2019 ლარში	31/12/2020 ლარში
სავაჭრო ვალდებულებები	37 131	45 703	39 787
მიღებული ავანსები	()	4 143 792	963 663
	37 131	4 189 495	1 003 450

10. საწესდებო კაპიტალი შპს-ში

2018 წლისა და 2020 წლის 31 დეკემბრისთვის საწესდებო კაპიტალის ნაშთი შეადგენს 1 100 ლარს, რაც ფულადი სახით იყო შევსებული. საწესდებო კაპიტალი აღიარებულია კომპანიის კაპიტალში მისი დამფუძნებლის ფაქტობრივი შენატანის მიხედვით. ცვლილებები საწესდებო კაპიტალში შესაძლოა განხორციელდეს მხოლოდ დამფუძნებლის გაწყვეტილებით.

11. გაუნაწილებელი მოგება

გაუნაწილებელი მოგება შეიცავს მიმდინარე და წინა პერიოდების აკუმულირებულ მოგებას.

12. ამონაგები

	2020 ლარში	2019 ლარში
საქონლის გაყიდვა	<u>41 359 775</u>	<u>32 165 426</u>
მომსახურების გაწევა	<u>110 88</u>	
სხვა	<u>11 595</u>	
	41 482 198	32 165 426

13. დასაქმებულთა ანაზღაურება

	2020 ლარში	2019 ლარში
თანამშრომელთა ღარიცხული ხელფასი	<u>115 650</u>	<u>93 240</u>
	115 650	93 240

14. ადმინისტრაციული და სხვა საოპერაციო ხარჯი

	2020 ლარში	2019 ლარში
პირუტყვის კვების ხარჯი	214 566	221 207
ტრანსპორტირების და შენახვის ხარჯი	620 553	3 042 337
მიწოდების ხარჯი	363 704	326 555
სოციალური დანარიცხები	2 325	1 573
ძირ. საშ. მიმდინ. საექსპ. ხარჯი	1 780	
საკანცელარიო ხარჯი	64	32
კომუნიკაციის ხარჯი	1017	1 012
თანამშრომლების ჯანმრთელობის დაზღვევა		11 382
საწვავის ხარჯი		3 295
საგადასახადო ხარჯი	529	581
საბანკო მომსახურების ხარჯი	84 913	47 737
სხვა საოპერაციო ხარჯი	<u>19 139</u>	<u>20 511</u>
	1 308 590	3 676 222

ფინანსური ანგარიშგების დამტკიცება

ფინანსური ანგარიშგება დამტკიცებულია 2021 წლის 27 სექტემბერს.

შპს “ალტურას”-ის დირექტორი:

კახაბერ ივანიძე

